პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 იანვარი, შაბათი, 1989 წ.
№ 16 (9935) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართვა
ყველას გვეხება

## ფხიზლად შევდარაჯოთ

**დღეს** ამაზე აღარ დავობენ: კაცობრიობა უძლები შვილის სახელს არასოდეს ისე არ იმსახურებდა, როგორც ახლა, XX საუკუნის მიწურულს.

არადა, დრო იყო, „ეკოლოგიის" გაგონებაზე ხალხი მხრებს იჩეჩავდა — ეს რაღაა, რას ნიშნავს ეს სიტყვაო. ახლა — თუკი სადმე კამათი და სჯა-ბაასია, იქ, აუცილებლად თუ არა, ხშირ შემთხვევაში ამ თემასაც უტრიალებენ. რას ვიზამთ, წარსულს ჩაბარდა უცოდინარობით გახარბების, გონებისა და სინდისის მცონარობით მოგვრილი უშფოთველ-კმაყოფილების დრო და პირისპირ აღმოვჩნდით საუკუნის უმწვავეს გლობალურ პრობლემასთან — „მკერდში დაჭრილ ბუნებასთან".

ნიშანდობლივია, რომ ეს საყოველთაო საწუხარი აისახა პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამოქვეყნებულ მიმართვაში, სადაც ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იზიარებს საბჭოთა ადამიანების შეშფოთებას ეკოლოგიური ვითარების გამწვავების გამო, საფუძვლიანად უდგება აქ წარმოქმნილი რთული პრობლემების გადაჭრას. მუშავდება გარემოს გაჯანსაღებისა და დაცვის, ბუნებით რაციონალური სარგებლობის პროგრამა".

სწორედ ამ საკითხს მსურს მივაპყრო სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების ყურადღება, უფრო სწორად, გავუზიარო მათ ჩემი გულისტკივილი: რა სამწუხაროა, რომ გარემოს დასაცავად გამართულ კამპანიებსა და დისკუსიებში არ ისმის, ან ძალზე სუსტად ისმის ჩვენი ხმა — სახელდახელოდ გავიხსენოთ თუნდაც გაზეთ „თბილისის" მიერ ახლახან წამოწყებული გულახდილი საუბარი თბილისის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე — არადა, თუ ვინმეს ამოეღება ხმა ბუნების მომწამვლელთა წინააღმდეგ, ეს, პირველ ყოვლისა, სპორტსმენები არიან. მართალია, წაბილწული ჰაერი და წყალი არ დაგიდევს პროფესიას და გატაცებას, მაგრამ, დამეთანხმებით, სპორტსმენი მოვალეა სხვებზე ფხიზლად დარაჯობდეს ჯანმრთელობის საზღვრებს", ასე რომ, დროა, წერტილი დავუსვათ ჩვენს პასიურობას და გულგრილობას.

**ნინო სალუქვაძე,**
**ოლიმპიური ჩემპიონი**

სადირექტივო მითითებების შემდეგ

## თავისუფალ დროს

**დასვენების** დღეებში, აგრეთვე სასწავლო და სამუშაო დღის ბოლოს გამოკეტილია სპორტული ბაზების კარი. არ ტარდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, რომლებიც გონივრულად შეავსებდა ახალგაზრდებისა და არა მარტო ახალგაზრდების თავისუფალ დროს. ამ თემასაც შეეხნენ ამ დღეებში გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, რომელმაც განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნები რესპუბლიკის ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

სადირექტივო მითითებებს უმალვე მოჰყვა პრაქტიკული ღონისძიებები. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და შრომითი კოლექტივების სპორტულ ბაზებზე გასულ შაბათს და კვირას დაიროვა ჩვეულებრივი სიმყუდროვე. მართალია, ასე არ იყო ყველგან, მაგრამ პირველი ნაბიჯები გვაიმედებს, რომ ეს მოძრაობა ჭეშმარიტად მასობრივ ხასიათს შეიძენს, დაიხვეწება, გამრავალფეროვნდება და ეპიზოდურ ღონისძიებად არ დარჩება. არც „ლელოს" რედაქცია შეანელებს ორგანიზატორების მიმართ მომთხოვნელობას.

21 და 22 იანვარს მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები გაიმართა თბილისის 50-ე და 53-ე საშუალო სკოლებში, 36-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში, სპორტკლუბების „სინათლის", „ფეიქარის", „გამარჯვების" სპორტულ ბაზებზე. განსაკუთრებით ხალხმრავლობა იყო დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების სტადიონზე და სპორტულ დარბაზებში.

ახალგაზრდა მუშების გარდა სპორტმასობრივ ღონისძიებებში ახლომდებარე მიკრორაიონების მოზარდებიც მონაწილეობდნენ.

ვიმედოვნებთ, გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი ღონისძიებების ჩატარების გეოგრაფია თანდათან გაფართოვდება.

### ელვა-ინფორმაცია

**მინსკში გამართულ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატზე ბრწყინვალედ გამოვიდა 100 კილოგრამამდე წონის ქართველი ფალავანი გურამ გედეხაური, რომელმაც ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.**

**ასპარეზობა დღეს დამთავრდება.**



● ქალთა ინდივიდუალურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ანა დოლონაძე.

საქართველოს თასის გათამაშება ბატუტზე ხტომაში

## რატომ იცვლის პროფესიას ბატუტისტთა მწვრთნელი?

**აჭარამ** სპორტულ შეჯიბრებებშიც შეიტანა კორექტივები. იმის გამო, რომ ქუთაისში დიდთოვლობა იყო, საქართველოს თასის გათამაშებას ბატუტზე ხტომაში თბილისმა უმასპინძლა. უამინდობის გამო დასავლეთ საქართველოს გუნდები გაჭირვებით ჩამოვიდნენ თბილისში. შეჯიბრებაზე არ გამოცხადდა მხოლოდ აჭარის გუნდი, თუმცა მიზეზი ამჯერად სულ სხვა იყო, საქმე ისაა, რომ იქ კარგახანია ბატუტს შემოწყრნენ. არადა, ჩვენს რესპუბლიკაში ბატუტზე ხტომაში პირველი სპორტის ოსტატი ბათუმელი ოლგა სტრელნიკოვა გახლდათ. იგი ამავე დროს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი იყო. აჭარის სპორტსმენები 1980 წლამდე რესპუბლიკის ჩემპიონატებში გუნდურ საპრიზო ადგილს არავის უთმობდნენ, მაგრამ მერე და მერე წარმატებებმა იკლო, რამდენიმე თვის წინ კი სპორტის ამ სახეობამ საერთოდ შეწყვიტა არსებობა — ბატუტისტთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა ვალენტინა რაზუმოვსკაიამ წყალში მხტომელთა აღზრდა არჩია.

ვფიქრობთ, სპორტის ამ სახეობისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება აჭარის სპორტკომიტეტის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

აჭარის სპორტსმენთა ჩამოუსვლელობა ერთგვარად აანაზღაურა შეჯიბრებაში მცხეთის რაიონის მხტომელთა მონაწილეობამ. დებიუტანტებმა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ორი სპორტსმენი გამოდიოდა, გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს, ქალთა ინდივიდუალურ ასპარეზობაში კი თასსაც დაეუფლნენ.

აქვე ერთი „საიდუმლო" უნდა გავამხილოთ — მცხეთის გუნდის ორივე წარმომადგენელი თბილისში ვარჯიშობს, წლევანდელი თასის მფლობელი კი ანა დოლონაძე, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, რომელმაც შარშან ევროპის იუნიორთა პირველობაზე ინდივიდუალურ და სინქრონულ ხტომებში ო...

იხ. მე.2 გვ

**მ** თელი თვეა, რაც თბილისის „დინამოს" კალათბურთელებს შინ არ უთამაშიათ. ამ ხნის მანძილზე სატურნირო ცხრილში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, მაგრამ ეს უფრო კალენდრის ბრალია, ვიდრე გუნდებისა. ჩემპიონატის ზოგიერთ მონაწილეს 22-33 მატჩი აქვს ჩატარებული, ზოგს კი მხოლოდ 12-14.

თბილისელთა ამოცანა გათამაშების ამ ეტაპზე კონკრეტულია: გუნდი ცდილობს მოხვდეს რვა უძლიერესთა ტურნირში. ამ მიზნის მიღწევა შექმნილი მდგომარეობის მიხედვით არც ისე იოლია, მაგრამ შეუძლებელიც არ გახლავთ, მით უფრო თუ გავიხსენებთ „დინამოს" ბოლო მატჩებს ამ ერთი თვის მანძილზე. 20 დეკემბრიდან მოყოლებული ჩვენმა კალათბურთელებმა ორი შეხვედრა ჩაატარეს შინ (ლენინგრადის „სპარტაკთან") და ოთხი გასვლაზე (მინსკსა და რიგაში). ექვსი მატჩიდან „დინამომ" ოთხი მოიგო, თანაც ორი მეტოქის მოედანზე.

მდგომარეობა გარკვეულწილად სწორდება და ახლა ბევრი რამ პირველი-მეორე წრის დარჩენილ შეხვედრებზეა დამოკიდებული. 25 და 26 იანვარს ჩვენი გუნდი საკმაოდ ძლიერ და მისთვის უხერხულ მეტოქეს უმასპინძლებს — ვილნიუსის „სტატიბას", რომელიც დაკარგული ქულებით ლიდერთა ხუთეულში იმყოფება. ეჭვგარეშეა, დინამოელები ყველაფერს იღონებენ საიმისოდ, რომ ეს ორი ორთა ბრძოლა სასურველი შედეგით დაამთავრონ, მაგრამ ამაში გუნდს ხელი ჩვენც, გულშემატკივრებმაც უნდა შევუწყოთ. „დინამოს" არასდროს დაკლებია მათი მხარდაჭერა, ქომაგობა, თანადგომა არც გაჭირვების და არც დალხინების ჟამს. დარწმუნებული ვართ ამჯერადაც ასე იქნება.



ძვირფასო გულშემატკივრებო, შეგახსენებთ, რომ 25 იანვარს მატჩი თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება, 26 იანვარს კი თბილისისა და ვილნიუსის კალათბურთელები კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში ითამაშებენ.

უმაღლესი ლიგის დინამოელ წყალბურთელთა ტურნირი

## დინამოელებმა კვლავ მოიგეს, არმიელებმა...

**თბილისში,** ვაკის საცურაო აუზში მიმდინარე უმაღლესი ლიგის დინამოელ წყალბურთელთა ტურნირზე, რომელშიც მასპინძელთა ასკ-ის გუნდიც მონაწილეობს, მეორე დღის შეხვედრებიც ალმაათელთა გარეშე ჩატარდა. უამინდობის გამო მათ თბილისში მესამე ტურამდე ვერ ჩამოაღწიეს.

კვირას თბილისის დინამოელებმა ლვოველებთან შეხვედრა, ისე როგორც პირველი მატჩი კიეველებთან, შედარებით სუსტად დაიწყეს, მაგრამ საბოლოოდ საქმე კვლავ გამარჯვებამდე მიიყვანეს 7:6.

ამ ტურნირში თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი გივი ჩიქვანაია უკლებლივ ყველა წყალბურთელს ცდის. ლვოველებთან შეხვედრაში მწვრთნელმა კვლავ თექვსმეტი წყალბურთელი ათამაშა. მათ შორის მეორე მეკარე ტუკვაძეც, რომელიც ლვოველებთან პირველ მატჩში არ გამოსულა.

ასევე იქცევა თბილისის ასკ-ს ხელმძღვანელობაც.

საინტერესოა, რომ ამ გუნდს თბილისის „დინამოდან" დაუბრუნდა ლიპარტელიანი. ასკ-მ ამავე გუნდიდან მარგიევისა და ქართველიშვილის სახითაც მიიღო შევსება. ისინი „დინამოში" სარეზერვო შემადგენლობაში იყვნენ, ასკ-ს კი ალბათ გარკვეულ სამსახურს გაუწევენ.

ასკ-ს შემადგენლობაში კიდევ ორი ახალწვეულია — ანდრეევი და მიხაილოვი, რომლებიც მოსკოველები არიან.

თბილისელმა არმიელებმა, სამწუხაროდ, მეორე შეხვედრაც დიდი ანგარიშით წააგეს, ამჯერად კიეველებთან — 5:11

ჩვენი გუნდის წევრები, როგორც იტყვიან, ჯერჯერობით ერთმანეთთან შეთამაშებულები არ არიან, მაგრამ ტურნირში მათი მონაწილეობა ხომ ამ ხარვეზის გამოსწორებასაც გულისხმობს.

**ავთანდილ ჭუმბურიძე.**

## თბილისში ჩამოსვლის წინ

**როგორც** ცნობილია, 27 იანვარს თბილისში იწყება თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ტრადიციულად მსოფლიოს უძლიერესი ათლეტები მონაწილეობენ. შეჯიბრებაში საასპარეზოდ ჩვენს ქვეყანას უკვე ეწვია აშშ-ს მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი, მაგრამ იგი ჯერ სხვადასხვა ქალაქში ამხანაგურ შეხვედრებს ატარებს.

ერთი ასეთი ორთაბრძოლა აშშ-სა და სსრ კავშირის ნაკრებ კოლექტივებს შორის იაკუტსკში გაიმართა. შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 6:4.

საბჭოთა ნაკრების წევრთაგან გამარჯვება მოიპოვეს: 48 კგ. ვასილი გოგოლევმა (იაკუტსკი) — დაამარცხა ტიმ ვანი 6:1), 57 კგ. ვალერი კერემიასოვმა (იაკუტსკი) — გრაბ პეპრიტთან —1:0, 62 კგ. მიხეილ პროტოპოპოვმა (იაკუტსკი) — გრად რანდოლთან 6:1, 68 კგ. ბორის ბუდაევმა (ულან-უდე) — ჯონ გიურასთან 8:3, 74 კგ. საიდ მურთაზაილოვმა (მახაჩყალა) — ჯონ ჯონსონთან 3:2, 82 კგ. აბდუსამიდ გამიდოვმა (მახაჩყალა) — რიკი ჩაპარელისთან 5:4.

ამერიკის ნაკრებს ქულები მოუტანეს: 52 კგ. ედ გიეზმა — დაამარცხა ვასილი მილანხანოვი (ულან-უდე) 9:1, 90 კგ. ჯიმ შერმა — აბეკ ბისულთანოვი (გროზნო) 1:0, 100 კგ. კრიკ ტროსტმა — ვალერი ჟუკოვი (კოსტრომა) 5:0 და 130 კგ ტომ ერინსონმა — ნიკოლაი ივანოვი (კრასნოიარსკი) 7:1.

## პირველი ბრძოლები

**მოკრივეთა** წლის პირველი შეჯიბრება სსრ კავშირის 55-ე ჩემპიონატია, რომელიც ყირგიზეთის დედაქალაქში დაიწყო და მან ჩვენი ქვეყნის ტყავის ხელთათმანის უძლიერეს ოსტატებს მოუყარა თავი.

პირველ ორთა ბრძოლებში გამარჯვებები მოიპოვეს კ. ცზიუმ (60 კგ) და ვ. ერემენკომ (67 კგ). ორივე სპორტსმენი რსფსრ-ის წარმომადგენელია.

დღის ყველაზე ტექნიკურ მოკრივედ კი მჩატე წონის ყაზახეთის გუნდის წევრი ვ. პრისაჟნიუკი დაასახელეს, რომელმაც აშკარად აჯობა იუნიორთა მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორ თბილისელ ხვიჩა ხდრიანს.

ასპარეზობა გრძელდება.

ორიენტირი — ახალგაზრდული საკავშირო თამაშები

# შეგვიძლია თუ არა დავიცვათ აუზში ტემპერატურა?

სინქრონული ცურვა

**სინქრონულ** ცურვაში ჩვენი რესპუბლიკა ერთ-ერთი იქნება მათ შორის, ვისაც მომავალ ახალგაზრდულ საკავშირო სპორტულ თამაშებზე ორი გუნდით გამოსვლის უფლება აქვს, მაგრამ ერთია უფლება და მეორე — ორი ნაკრების დაკომპლექტების შესაძლებლობა.

საკავშირო სპორტულ თამაშებზე სინქრონულ ცურვაში 1970 წელსა და შემდეგ დაბადებულნი ასპარეზობენ. ბუნებრივია, უმჯობესია, თუ ჩვენი საუკეთესო სპორტსმენები სწორედ 1970 წელს დაბადებულნი იქნებიან, მაგრამ 19 წლის სინქრონული ცურვის ოსტატები არა თუ მეორე, პირველი ნაკრებისთვისაც კი თითქმის არა გვყავს.

ასეა თუ ისე, პირველი ნაკრების შემადგენლობა ფაქტობრივად უკვე განსაზღვრულია. მასში 1975 წელს დაბადებული სპორტსმენებიც კი არიან.

აი, მეორე ნაკრებისთვის კანდიდატთა შერჩევა, რომელსაც ახლახან თბილისში, ვაკის საცურაო აუზში გამართული შეჯიბრება ითვალისწინებდა, მეტად გაჭირდა. გაჭირდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ შესაფერისი ასაკის სპორტსმენები არ გვყავს, არამედ იმიტომაც, რომ სპორტსმენები ამ ასპარეზობას მოუმზადებელნი შეხვდნენ და თავიანთი შესაძლებლობები ვერ გამოავლინეს.

სამწუხაროდ, საქმე ისე წავიდა, რომ ჩვენს საუკეთესო სინქრონული ცურვის ოსტატებსაც კი ვარჯიშის ნორმალური პირობები დაერღვათ. მთელ რესპუბლიკაში ახლა აღარ დარჩა თუნდაც ერთი აუზი, სადაც ცხელი წყლის მიწოდება არ შეფერხებულა.

ერთი სიტყვით, ვერცერთ აუზში ვერ ინარჩუნებენ იმ ტემპერატურას, რომელიც სინქრონულ მოცურავისათვისაა საჭირო, ამიტომ სპორტსმენები რიგრიგობით, ზოგჯერ ჯგუფ-ჯგუფადაც ცივდებიან და მათი მზადების რიტმი ფერხდება. სწორედ ამით აიხსნება, რომ თბილისში გამართული შეჯიბრებისთვის სპორტსმენები მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ.

უფრო მეტიც — აფხაზეთის გუნდმა გადაწყვიტა ასპარეზობისთვის ტრიბუნებიდან ეცქირა. ჩვენთვის ესეც სასარგებლო იქნებაო, მაგრამ შეჯიბრების დანარჩენმა მონაწილეებმა შარშანდელზე ცუდი შედეგები აჩვენეს. ასე რომ, აფხაზეთის წარმომადგენლებისთვის თბილისში ჩამოსვლა სასარგებლო არაფრით აღმოჩნდა.

ამ შესარჩევ შეჯიბრებაში, რომელშიც 1975 წელსა და შემდეგ დაბადებული სპორტსმენები გამოდიოდნენ, ერთეულთა თანრიგში ყველას აჯობა თბილისელმა ხათუნა წიკლაურმა. მეორე-მესამე ადგილებზე შესაბამისად ქუთაისელები თეა კლდიაშვილი და ანა ჯაში გავიდნენ.

წყვილთა ასპარეზობაში უძლიერესის სახელი კლდიაშვილ-ჯაშის დუეტმა მოიპოვა. მეორე ადგილზეც გამარჯვებულთა თანაგუნდელები ელენა ჩადაევა და ნესტან ნემსიწვერიძე გავიდნენ. მესამე იყო თბილისელ ალიონა კულიბერდა-ხათუნა გოცირიძის წყვილი.

გულშემატკივრებისთვის უცნობია პრიზიორთა სახელები. ისინი, როგორც იტყვიან, მხოლოდ ახლა გამოდიან სცენაზე, რა თქმა უნდა, მათი სახით ჩვენი მეორე გუნდის წევრებს საკავშირო სპორტულ თამაშებზე წარმატების არავითარი შანსი არა აქვთ, მაგრამ თუ წინ გავიხედავთ, დონეცკში, სადაც ეს შეჯიბრება გაიმართება, ორი ნაკრებით გამგზავრება თუნდაც იმიტომ ღირს, რომ მეორე გუნდის წევრებისთვის, რომლებიც თამაშებზე დაშვებულ მაქსიმალურ ასაკთან შედარებით, სულ ცოტა, ხუთი წლით უმცროსები არიან, საკავშირო თამაშებში ასპარეზობა კარგი სკოლა იქნება.

მანამდე კი...

მანამდე ჩვენს საუკეთესო სინქრონული ცურვის ოსტატებს, როგორც ვთქვით, სავარჯიშო რიტმი დაერღვათ და იძულებულნი გახდნენ აუზი სხვა რესპუბლიკებში ეძებნათ. მათ დახმარების ხელი წახკაძორიდან გამოუწოდეს და ჩვენი სპორტსმენები სულ მალე იქ გაემგზავრებიან.

**ავთანდილ გურასაშვილი.**





# რატომ იცვლის პროფესიას ბატუტისტთა მწვრთნელი?

(დასასრული)

ოქროს მედალი მოიპოვა. ამჟერად ანა დოლონაძე თბილისის 25-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეა და მცხეთას აძლევს ჩასათვლელ ქულებს. მაგრამ ის ფაქტი, რომ შეჯიბრების აფიშაზე მცხეთაც აღინიშნა, იმედს გვაძლევს, რომ საქართველოს ძველ სატახტო ქალაქში სპორტის ეს სახეობა დააინტერესებთ და სულ მალე მისი სექციაც ამუშავდება.

საქართველოს თასის გათამაშებაში, რომელსაც ამიერკავკასიის არმიის სპორტკლუბის კომპლექსმა უმასპინძლა, სრული გუნდებით თბილისი (2) და ქუთაისი გამოვიდა. რუსთავმა ორი ქალი და ამდენივე ვაჟი, ხოლო აფხაზეთმა მხოლოდ ვაჟები გამოიყვანა.

ქალთა ნაკლებობა განსაკუთრებით სინქრონულ ხტომებს დაეტყო — სამი წყვილი მონაწილეობდა. ამას „ხელი შეუწყო" იმანაც, რომ შეჯიბრებაზე საპატიო მიზეზით არ გამოსულან მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი რუსუდან ხოფერია და ევროპის იუნიორთა პირველობაში (სინქრონულ ხტომებში) გამარჯვებული ლია ბენდიანიშვილი. ისე რომ, ქალთა სინქრონულ ხტომებში კვარცხლბეკისკენ მიმავალი გზა ყველასთვის გახსნილი აღმოჩნდა. მხოლოდ ის უნდა გარკვეულიყო, თუ ვინ რომელ საფეხურს დაიკავებდა.

ქალთა ინდივიდუალური შეჯიბრება, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი უპირატესობით მოიგო ზაურ სულაშვილის აღზრდილმა ანა დოლონაძემ, რომელიც 10,2 სირთულის კოეფიციენტის პროგრამით გამოდიოდა. ამ შეჯიბრებაში მას სერიოზული მეტოქე არც ჰყოლია. მიუხედავად ამისა, არ დაუკარგავს პასუხისმგებლობის გრძნობა, განსაკუთრებით დახვეწილი და უნაკლო იყო მისი ფინალური ვარჯიში. საპრიზო ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტი თბილისელი ირინა მიხაილოვა სავალდებულო პროგრამის ბოლო ფაზაში ლეიბს შეეხო და სამეულს მიღმა დარჩა.

ვაჟთა ინდივიდუალურ ხტომებში, ბოლო წლებში, ყველაზე დიდ ინტერესს საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრის მიხეილ პელივანიდისისა და რუსთაველ ზაზა აბრამაშვილის გამოსვლა იწვევს (ზაზაც თბილისში ვარჯიშობს და სწავლობს), მათ „დუელში" უმეტესად თბილისელი სპორტსმენი იმარჯვებდა, დღესდღეობით კი ორივეს ოსტატობის დონე გათანაბრდა, რაც ამ შეჯიბრებაზეც დადასტურდა. პირველ ვარჯიშში ზაზამ სამი მეათედი ქულით გაუსწრო მეტოქეს, მეორეში მიხეილი დაწინაურდა. იგი ორჭიდის ჯამშიც ორი მეათედი ქულით სჯობნიდა კონკურენტს, მაგრამ ფინალში უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. მეტიც, უხეში შეცდომა დაუშვა, დავარდა და საბოლოოდ მეათე ადგილს დასჯერდა. საქართველოს თასს კი ზაზა აბრამაშვილი დაეუფლა.

სინქრონულ ხტომებში აბრამაშვილმა და პელივანიდისმა ერთად იასპარეზეს და საკმაოდ დამაჯერებლადაც გაიმარჯვეს.

**შეჯიბრების მთავარი მსაჯი ზაურ სულაშვილი:**

— წელს ჩვენი რესპუბლიკის მხტომელებს ბევრი საპასუხისმგებლო შეჯიბრება ელით. ცნობილია, რომ ყოველგვარ წარმატებას წლის დასაწყისში ეყრება საფუძველი. პირველმა შეჯიბრებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი წამყვანი სპორტსმენები ამ პერიოდისთვის ცუდად არ გამოიყურებიან. იმათ გარდა, ვინც დღემდე გამართულ სხვადასხვა შეჯიბრებებში გამოიჩინეს თავი, მწვრთნელებს არც სხვების მიმართ გვეთქმის სამდურავი. განსაკუთრებით უნდა გამოვყო თბილისელი მზევინარ ომაძე, ირინა მიხაილოვა, ნინო არღანაშვილი, ხათუნა ბენდიანიშვილი, თამუნა სუსუნიაშვილი, კახაბერ ქვლივიძე, რემიკ პოღოსიანი, გიორგი გაგუა და ბათუმელი კახაბერ გობრონიძე. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რაც გვაფიქრებს, დღესდღეობით საქმეს სერიოზულად მხოლოდ თბილისში და ქუთაისში ეკიდებიან. ადრეც არაერთხელ აღგვინიშნავს და კიდევ გვინდა გავიმეოროთ — სპორტის ეს სახეობა სხვა რეგიონებშიც უნდა დაინერგოს. მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენი წარმატება საიმედო და სტაბილური.

**ჯემალ კასრაძე.**

• • •

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი რუსუდან ხოფერია აჯილდოვებს სინქრონულ ხტომებში გამარჯვებულ მზევინარ ომაძეს და ლელა გიგინეიშვილს (მარცხნივ); მიხეილ პელივანიდისი (მარცხნივ) და ზაზა აბრამიშვილი.**

ავტორის ფოტოები.

## 2 [ ] 3 კვარცხლბეკი

**ქალები. ინდივიდუალური.** ანა დოლონაძე (მცხეთა) — 97,8, მზევინარ ომაძე — 76,5, თამარა სუსუნიაშვილი (ორივე — თბილისი) — 63,7. **სინქრონული ხტომები.** ლელა გიგინეიშვილი (ქუთაისი) — მზევინარ ომაძე (თბილისი) — 73,0, ნინო არღანაშვილი — ხათუნა ბენდიანიშვილი — 67,9, ირინა მიხაილოვა — თამარ სუსუნიაშვილი (ორივე—თბილისი) — 67,0.

**ვაჟები. ინდივიდუალური.** ზაზა აბრამაშვილი (რუსთავი) — 100,3, არამ სააკიანი — 94,7, გიორგი გაგუა — 89,2 (ორივე — თბილისი); **სინქრონული ხტომები.** ზაზა აბრამაშვილი — მიხეილ პელივანიდისი — 82,6, თემურ მუმლაძე — კახაბერ ქვლივიძე — 80,2, მიხეილ ნიკოლაიშვილი — გიორგი გაგუა (სამივე — თბილისი) — 76,7.

# გურჯაანელები მოკრივეთა ამქარში

**გურჯაანელ** თამაზ ლაზაშვილს, რომ იტყვიან, ფანატიკურად უყვარს კრივი. ათი წლისაც არ იყო, როდესაც თითქმის ყველაფერი იცოდა სპორტის ამ სახეობის შესახებ — მისი კარადა სკოლა-ინტერნატში პირდაპირ აჭრელებული იყო მოჰამედ ალის, ჯო ფრეზერის, ჯორჯ ფორმენის, დავით კვაჭაძის სურათებით. დღედაღამ კრივზე ფიქრობდა, ტყავის ხელთათმანებზე ოცნებობდა და ძალიან უნდოდა მშობლიურ გურჯაანში ფეხბურთთან, კალათბურთთან, ხელბურთთან ერთად კრივიც დანერგილიყო.

მხოლოდ სამხედრო სამსახურში ყოფნისას აისრულა ოცნება — პირველთანრიგოსანი გახდა და დივიზიის პირველობებიდან ათამდე სიგელი და დიპლომი ჩამოიტანა 71 კილოგრამი კატეგორიის წონაში მოპოვებულ გამარჯვებებისა თუ საპრიზო ადგილებზე გასვლისათვის. ძალიან ეამაყებოდა, რომ 50 ჩატარებული შეხვედრიდან 48-ში გამარჯვება მოიპოვა, აქედან 10 ნოკაუტით.

1978 წლის ზაფხულში, ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, ფიზკულტურის ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩაბარების დღეებში, პირადად გაიცნო დავით კვაჭაძე. სახელოვანმა მოკრივემ თამაზს ხელთათმანები აჩუქა, მოგვიანებით კი გურჯაანში სავარჯიშო ინვენტარი გაუგზავნა საჩუქრად.

...საავადმყოფოს ყოფილ შენობაში კრივის ენთუზიასტს შესაფერისი სარდაფი გამოუყვეს, სადაც სულ მალე ახალგაზრდებმა რინგი გამართეს. სწორედ აქ ავარჯიშებს თ. ლაზაშვილი 10-16 წლის მოსწავლეებს. პირველი წარმატებებიც მოვიდა: ზაზა თოდაშვილი 12 წლის ასაკში რაიონის ჩემპიონი გახდა მოსწავლეთა შორის, 15 წლისამ კი საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზე ჩემპიონობა მოიპოვა. თანაკლასელები გოჩა ბუზალაძე და გიორგი კვეზერელი რესპუბლიკის ჭაბუკთა პირველობაზე შესაბამისად მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ.

თამაზ მასწავლებელს მათ გარდა კიდევ თხუთმეტამდე პერსპექტიული მოკრივე ჰყავს, უფრო პატარების რიცხვი კი ოცდათხუთმეტს აღწევს.

სწორედ ამ ენთუზიასტი მწვრთნელის დიდი დამსახურებაა, რომ ამასწინათ გურჯაანში პირველად გაიმართა ჭაბუკთა (1972, 1973-1974 და 1975-1976 წლებში დაბადებულნი) საკავშირო ტურნირი კრივში — სსრ კავშირის გმირის, ძველი მოკრივის, კარდენახელი ვლადიმერ ბეროშვილის მემორიალი.

ასპარეზობაში 9 გუნდი მონაწილეობდა (დიდთოვლობის გამო, სამწუხაროდ, დანარჩენები ვერ ჩამოვიდნენ): ბელგოროდის, სტარიასკოლის, თბილისის, ბორჯომის, გორის, თეთრი წყაროს, კაჭრეთის, თელავისა და გურჯაანის გუნდები.

შეჯიბრებაში მასპინძელთა გამოსვლამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — გურჯაანელებმა სხვადასხვა ასაკსა და წონით კატეგორიაში 11 პირველი ადგილი მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულთაგან 10 სწორედ თამაზ ლაზაშვილის მოწაფეა, ხოლო ერთს გიორგი ყოჩიშვილი ავარჯიშებს. აი ისინიც, გურჯაანელი ჩემპიონები: დავით ზარდიაშვილი, მამუკა ბაქრაძე, ილია მუღალაშვილი, ზვიად ფეროიანი, კობა აბაზოვი, ვაჟა კვეზერელი, გია ფეროიანი, კახა დათუაშვილი, ნიკოლოზ ულიხანოვი, ალექსანდრე ხუროშვილი და ჯემალ ყოჩიაშვილი.

სხვა გუნდებიდან გურჯაანის რინგზე განსაკუთრებით ისახელეს თავი და ჩემპიონობა გაინაღდეს თბილისელებმა თ. მსტოიანმა და ლ. ტაბატაძემ, თეთრიწყაროელებმა ხ. ტრიანდაფილიდიმ და ბ. აკობაშვილმა, გორელებმა ც. ავაზნელმა, ზ. ბითაძემ, ზ. გოგიაშვილმა, ი. ტლაშაძემ და გ. კანდელაკმა, ბორჯომელმა ვ. ივანიძემ, თელაველებმა ნ. აიოვმა და მ. ხუტუაშვილმა, სტარიასკოლელებმა ა. სემიონოვმა და ს. ზაგეზოვმა.

საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ბეროშვილის სახელობის პრიზი გადაეცა ჯემალ ყოჩიაშვილს, ჯილდო კარგი მსაჯობისათვის დაიმსახურა რობერტ ყოჩიშვილმა, ხოლო 32 წლის მწვრთნელს თამაზ ლაზაშვილს მიეკუთვნა სპეციალური პრიზი კრივის აქტიური პოპულარიზაციისათვის.

**ანდრო არევაძე.**

**გურჯაანი.**

• • •

ავტორი გვთხოვს ამ მასალის ჰონორარი გადაირიცხოს სომხეთში მიწისძვრისგან დაზარალებულთა ფონდში.

# მხოლოდ გამარჯვებულები

**გთავაზობთ მძლეოსნური სპორტსკოლების მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებულთა შედეგებს (მასალა ამ შეჯიბრების შესახებ „ლელოს" წინა ნომერში დაიბეჭდა).**

გოგონები. 60 და 200 მ. დიანა ხუბაშვილი — 7,6 და 25,5. **400მ.** აიდა ტოროსიანი — 57,1; **800 და 1500 მ.** ალიონა ლაცაბიძე (ყველა — პროფკავშირთა რესპუბლიკური სკოლა) — 2.23,6 და 4.59,3; **3000 მ.** ეკა კობალაძე (განათლების სამინისტრო) — 11.44,1.

**3 კმ სპორტული სიარული.** თეა ყარყარაშვილი (გარდაბანი) — 15,23,8.

**60 მ. თარჯრბენი და სიგრძეზე ხტომა.** მარია მუსაევა — 9,3 და 5,20 მ;

**სიმაღლეზე ხტომა.** ალიონა გრიგორიევა — 165 სმ; **ბირთვის კვრა.** მადონა წიქორიშვილი (ყველა — პროფკავშირთა რესპუბლიკური სკოლა) — 13,57 მ. **ხუთჭიდი.** ვენერა ჩარაევა (განათლების სამინისტრო) — 2766 ქულა.

**ჭაბუკები. 60 მ.** იგორ ვორონოვი (თბილისის განათლების სამმართველო) — 6,9; **200 მ.** დავით ჩუხრუკიძე (პროფკავშირთა რესპუბლიკური სკოლა) — 22,8. **400 მ.** მინდია ქიქავა (განათლების სამინისტრო) — 53,6; **800 მ.** მამუკა თევზაძე (თბილისის განათლების სამმართველო) — 2.03,6. **1500 მ.** გიორგი ივანოვი (თბილისის პროფკავშირთა სკოლა) — 4.16,3. **3000 მ.** ანდრეი ნაუმოვი (რუსთავი) — 9.26,0.

**5 კმ სპორტული სიარული.** ედუარდ ბაიძე (პროფკავშირთა რესპუბლიკური სკოლა) — 23.44,8.

**60 მ. თარჯრბენი.** ვიტალი ურაევი (პროფკავშირთა რესპუბლიკური სკოლა) — 8,6; **2 კმ წინაღობებით.** სოსო კვაჭაძე (განათლების სამინისტრო) — 6.47,2.

**სიგრძეზე ხტომა.** მალხაზ მიქაბერიძე (ქუთაისის სკოლა) — 6.72 მ; **სიმაღლეზე.** ალექსანდრ ტრიოხგლაზოვი (პროფკავშირთა რესპუბლიკური სკოლა) — 195 სმ; **სამხტომი.** მალხაზ მიქაბერიძე (ქუთაისი) — 13,80 მ; **ჭოკი.** სერგეი გენშაფტი (თბილისის განათლების სამმართველო) — 4,20 მ.

**ბირთვი.** კახა სუჯაშვილი —15,20მ; **რვაჭიდი.** კახა ფუტკარაძე (ორივე — განათლების სამინისტრო) — 837 ქულა.

**გუნდური. I ჯგუფი.** 1. პროფკავშირთა რესპუბლიკური სკოლა — 22735,6 ქულა. 2. განათლების სამინისტროს სკოლა — 19054,0; 3. თბილისის განათლების სამმართველოს სკოლა — 13904,7.

**II ჯგუფი.** 1. თბილისის პროფკავშირთა სკოლა — 11397 ქულა; 2. გარდაბნის რაიონის სკოლა — 6122,7; 3. რკინიგზის რესპუბლიკური სკოლა — 5570,4; 4. რუსთავის სკოლა — 4783.

# დიხაშხოელთა უპირატესობით

**ვანის** რაიონის სოფლების ბაზებზე დამთავრდა პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების სარაიონო საბჭოს პირველობა და თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელიც რაიონის მუშათა პირველი სპარტაკიადის პროგრამით ჩატარდა.

ფინალურ მატჩში, რომელიც ვანის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა, ერთმანეთს დიხაშხოს კოლმეურნეობისა და ციხესულორის მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდები შეხვდნენ. მატჩის ძირითადმა და დამატებითმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, დამატებითი თერთმეტმეტრიანების სერიით გაიმარჯვეს დიხაშხოელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც მოიპოვეს გარდამავალი თასი და რაიონის ჩემპიონის სახელი.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**

# 8:1 — პოპულარული ანგარიში

**დასავლეთ** ბერლინში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში, სადაც თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებიც მონაწილეობდნენ. თბილისელებმა ნახევარფინალში წააგეს ბერლინის „ბლაუ-ვაისთან" — 3:5 და ფინალის მიღმა დარჩნენ.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ჩვენი გუნდის მეტოქე ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგად ცნობილი გფრ-ის „ჰამბურგი" იყო. თამაში ჩვენი ფეხბურთელების გამარჯვებით დამთავრდა — 8:1.

გამარჯვებულის სახელი მოიპოვა ბრემენის „ვერდერმა", რომელმაც გადამწყვეტ მატჩში „ბლაუ-ვაისს" სძლია — 7:4.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშისა და ბომბარდირის პრიზი თბილისელმა გ. ცაავამ მოიპოვა.

**ქალაქ** ნიურნბერგში, სადაც მსგავსი ტურნირი მიმდინარეობდა, კვლავ კარგად ითამაშეს კიევის დინამოელებმა, რომლებმაც ჯერ შტუტგარტის „კიკერსს" მოუგეს — 7:4, გადამწყვეტ მატჩში კი ადგილობრივი „ნიურნბერგი" დაამარცხეს — 8:1.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ კიეველი ა. დემიანენკო დაასახელეს, საუკეთესო ბომბარდირის პრიზი 6 გატანილი ბურთისათვის ი. ბელანოვს გადაეცა.

# ჯ. ნერუს მემორიალზე

**ინდოეთის** ქალაქ მარგაოში (გოას შტატი) დაიწყო ჯავახარლალ ნერუს ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკ ფეხბურთელთა (21 წლამდე) ტრადიციული, VIII საერთაშორისო ტურნირი.

სსრ კავშირის ნაკრებს სასტარტო მატჩი ერაყის გუნდთან ჰქონდა, პირველ ტაიმში კოლივანოვის მიერ გატანილმა ბურთმა გამარჯვება საბჭოთა ფეხბურთელებს მოუტანა — 1:0.

უნგრეთის ნაკრებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი, ხოლო პოლონეთისა და ინდოეთის ფეხბურთელთა შეხვედრა პოლონელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:0.

საბჭოთა გუნდი თავის ქვეჯგუფში კიდევ 3 მატჩს გამართავს: 24 იანვარს — ინდოელებთან, 26 იანვარს — პოლონელებთან და 1 თებერვალს — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან.

მემორიალის ტურნირის ფინალური მატჩი 4 თებერვალს შედგება.

# ორი ნაკრები

წლის დასაწყისში უცხოეთის სპორტული გაზეთები აქვეყნებენ სეზონის ფეხბურთელთა იდეალურ ნაკრებს. გთავაზობთ ორ ვარიანტს:

**„ჩეხოსლოვენსკი სპორტი". მსოფლიო ნაკრები.** პრიუდომი („მეჰელენი", ბელგია), ალოიზიო („ბარსელონა", ბრაზილია), რ. კუმანი („ეინდჰოვენი", ჰოლანდია), რიიკარდი („მილანი", ჰოლანდია), კუზნეცოვი („დინამო" კიევი, სსრკ), ჰაჯი („სტიაუა", რუმინეთი), გულიტი („მილანი", ჰოლანდია), მარადონა („ნაპოლი", არგენტინა), მიხაილიჩენკო („დინამო" კიევი, სსრკ), ვან ბასტენი („მილანი", ჰოლანდია), რომარიო („ეინდჰოვენი", ბრაზილია).

**„გაძეტა დელო სპორტი". ევროპის ნაკრები.** ვან ბრეკელენი („ეინდჰოვენი", ჰოლანდია), გერეთსი („ეინდჰოვენი", ბელგია), რ. კუმანი („ეინდჰოვენი", ჰოლანდია), კოლერი („კიოლნი", გფრ), შულცი („კაიზერსლაუტერნი", გფრ), მატეუტი („დინამო" ბუქარესტი, რუმინეთი), მიხაილიჩენკო („დინამო" კიევი, სსრკ), ჰაჯი („სტიაუა", რუმინეთი), პროტასოვი, რაცი (ორივე — „დინამო" კიევი, სსრკ), კლინსმანი („შტუტგარტი", გფრ).

**(საქ. ინფ.).**




# მოსკოვის „დინამო"—სამეურნეო ანგარიშზე

**მოსკოვში** საქმიანობას შეუდგა დედაქალაქის „დინამოს" სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის საორგანიზაციო კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში არიან ვეტერანი დინამოელები ლ. იაშინი, ვ. პილგუი, ე. მუდრიკი, მ. გერშკოვიჩი, გუნდის მთავარი მწვრთნელი ა. ბიშოვეცი და სხვანი.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა მოსკოვის „დინამოს" ყოფილი მეკარე ვლადიმერ პილგუი. მან განაცხადა, რომ გუნდების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა გარდუვალი აუცილებლობითაა ნაკარნახევი, პროფესიონალიზმზე გადასვლა უნდა გავიგოთ ამ სიტყვის ყველაზე კარგი მნიშვნელობით, პროფესიული კლუბის შექმნა მოსკოვის „დინამოს" საქალაქო საბჭოში საფეხბურთო მეურნეობის რეორგანიზაციის საშუალებას შექმნის, ეს დადებითად უნდა დაეტყოს თვით ფეხბურთის დონის ამაღლების საქმესაც. სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის კარგი მაგალითი გვაჩვენეს კიევისა და თბილისის დინამოელებმა, მათ მოსკოველ თანაკლუბელებსაც სურვილი აქვთ სრული თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების გარანტიით იმუშაონ, მაგრამ პირველ ხანებში ეს ძნელი იქნება, ამიტომაც კლუბს დოტაცია დასჭირდება, რომელიც სპორტსაზოგადოების მოსკოვის საქალაქო საბჭომ უნდა გაიღოს. მოსკოვის „დინამო" თხოვნით მიმართავს თავის გულშემატკივრებს რჩევა-დარიგებით და იდეებით დაეხმარონ კლუბს. მოსკოვის დინამოელებს სურთ დააწესონ საწევრო ანარიცხება, რომელთა თანხასაც ოებერვლის მეორე ნახევარში დაგეგმილი დამფუძნებელი კონფერენცია დააწესებს, გაიყიდება ბილეთები, მოეწყობა რეკლამა, ლატარია, მასობრივად დამზადდება სპორტული ატრიბუტიკა და სხვ.

ვისაც აინტერესებს მოსკოვის საფეხბურთო კლუბის „დინამოს" ბედი, შეუძლია მიმართოს მისამართით: 125057, მოსკოვი, ლენინგრადის პროსპექტი 34, „დინამოს" საქალაქო საბჭო, საფეხბურთო კლუბის საორგანიზაციო კომიტეტი.

# 10 გუნდის მონაწილეობით

**ქ. დალინაში** (უკრაინის სსრ) მოეწყო საბჭოთა კავშირის გმირ ვ. ლავრიშევის ხსოვნის ტრადიციული, რიგით XV ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი ფეხბურთში, სადაც 10 საფეხბურთო კოლექტივი იბრძოდა. ჩვენი რესპუბლიკა ამ ტურნირზე თბილისის 35-ე სპეციალიზებული სკოლის გუნდით იყო წარმოდგენილი. მან კარგად ჩაატარა მთელი ასპარეზობა, ოთხ შეხვედრაში გაიმარჯვა და ერთი მატჩიც ფრედ დაამთავრა.

გამოირჩეოდნენ გამარჯვებული გუნდის თავდამსხმელები, რომელთა ანგარიშზე 14 გატანილი ბურთია. საუკეთესო მოთამაშისა და ბომბარდირის პრიზი თბილისელ ი. ბენაშვილს გადაეცა. გუნდი ტურნირისთვის მოამზადეს მწვრთნელებმა თ. ლორთქიფანიძემ და თ. მირიანაშვილმა.



**ს უ რ ა თ ზ ე: საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ლავრიშევის თასის მფლობელი თბილისის 35-ე სკოლის გუნდი.**

**გია ახალაძის ფოტო.**

## ფეხბურთზე — საგანგებო საშვით

**ბრიტანეთის** ხელისუფლებამ პარლამენტში წარადგინა კანონპროექტი, რომელიც ფეხბურთის გულშემატკივრებს ეხება. თუ პარლამენტმა ეს კანონპროექტი დაამტკიცა, 1990 წლის გაზაფხულიდან ინგლისისა და უელსის საფეხბურთო ჩემპიონატების მატჩებზე დასწრების უფლება მხოლოდ მათ მიეცემათ, ვისაც საამისო ნებართვა და საგანგებო საშვი ექნებათ.

კანონის ეს პროექტი ზუსტად მაშინ გამოაქვეყნეს, როცა ბელგიაში მიმდინარეობს 26 ხულიგანი ინგლისელი გულშემატკივრის სასამართლო პროცესი. ეს ის ხალხია, ვინც 1985 წელს ბრიუსელის სტადიონზე სისხლისმღვრელი დებოში ატეხა. კანონპროექტის ინიციატორთა აზრით ახალი ღონისძიება კატეგორიულ ღონისძიებად უნდა იქცეს საფეხბურთო ხულიგანთა თავგასულობის აღსაკვეთად, ინგლისი კი უწესრიგობაში უდავო ლიდერია ევროპაში.

კანონპროექტის არსი ასეთია: ინგლისის პროფესიული ლიგის 92 საფეხბურთო კლუბიდან თითოეულმა თავის გულშემატკივრებს უნდა მისცეს სპეციალური მოწმობა, საშვი, უამისოდ სტადიონზე შეღწევისთვის დიდი ფულადი ჯარიმაა დაწესებული — 400 გირვანქა სტერლინგი. გამონაკლისი მხოლოდ მათთვისაა დაშვებული, ვისაც საგანგებო საოჯახო ადგილები აქვს გამოყოფილი ტრიბუნებზე, აგრეთვე ინვალიდებისათვის. ამგვარი საშვი მათთვის სავალდებულო არაა.

კანონპროექტი იმასაც ითვალისწინებს, რომ 2-5 წლით აეკრძალოთ უცხოეთში მგზავრობა საერთაშორისო მატჩებზე დასასწრებად გულშემატკივრებს, რომლებიც სტადიონზე ოდესმე დაკავებული იყვნენ ხულიგნური საქციელისთვის. საფეხბურთო ხელმძღვანელი წრეების ვარაუდით ამგვარი სისტემის დაწესება დაახლოებით 34 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდება (საბუთების ლირებულება, ელექტრული ტურნიკეტები სტადიონის შესასვლელებში და ა. შ.).

მაგრამ კანონპროექტმა ძლიერი წინააღმდეგობა გამოიწვია როგორც პარლამენტის, ისე კლუბების მხრივაც და ფართო საფეხბურთო საზოგადოებრიობაშიც. კანონპროექტის მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ იგი, ჯერ ერთი, ნაკლებ ეფექტურია და ზოგიერთი მისი დებულება მოქალაქეობრივი უფლებების აშკარა დარღვევას წარმოადგენს; მეორეც, ამგვარ ღონისძიებათა გატარებას გრძელი რიგები მოჰყვება სტადიონების შესასვლელებთან; როგორც ფეხბურთის გულშემატკივართა ასოციაციის პრეზიდენტმა რ. ტეილორმა განაცხადა, მატჩებზე დასწრება დაახლოებით ერთი მესამედით შემცირდება.

ბრიტანეთის ხელისუფლებას ასეთი არგუმენტები დამაჯერებლად არ მიაჩნია, იგი ემყარება პირველი დივიზიონის კლუბის „ლუთონის" გამოცდილებას, რომელმაც თავისი გულშემატკივრებისთვის სამი წლის წინ დააწესა საწევრო ბილეთების ანალოგიური სისტემა და ამას კარგის მეტი არაფერი მოუტანია.

ასეა თუ ისე, თუკი ეს კანონი პარლამენტმა მიიღო, კლუბები კვლავინდებურად საწინააღმდეგო პოზიციაზე დარჩებიან და მაშინ თითოეულ მათგანს 2000 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმებენ, ისეც შესაძლოა მოხდეს, რომ გუნდებს ცარიელი ტრიბუნების წინ მოუხდებათ თამაში.

კანონპროექტს ამჟამად ლორდთა პალატაში განიხილავენ. მოელიან, რომ მას რამდენიმე კვირის შემდეგ თემთა პალატას გადასცემენ განსახილველად.

## მატჩი ხანძრისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ

**ლისაბონის** უდიდეს სტადიონზე უჩვეულო საფეხბურთო მატჩის მომსწრენი გახდნენ მრავალრიცხოვანი მაყურებლები. 18 იანვარს აქ ერთმანეთს შეხვდნენ პორტუგალიისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდები, რომელთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ უშუალოდ პორტუგალიელი და ამ ქვეყნის კლუბებში მოთამაშე ბრაზილიელი ფეხბურთელები. საინტერესო თამაში დამთავრდა ბრაზილიელთა გამარჯვებით — 2:1.

გასაოცარი აქ ისიცაა, რომ პორტუგალიის უმაღლეს ლიგაში ორმაგი მოქალაქეობრიობის უფლებით გამოდის დაახლოებით 100 ბრაზილიელი ფეხბურთელი, ეროვნულ ჩემპიონატშიც მთავარ როლებს სწორედ ისინი ასრულებენ.

საქველმოქმედო მატჩის მთელი შემოსავალი გადაეცა ლისაბონის ისტორიულ ცენტრში შარშან მომხდარი დიდი ხანძრისგან დაზარალებულთა დახმარების ფონდს.

## უყველაზე მეტად?!

**იტალიურმა** გაზეთებმა გამოაქვეყნეს გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგები. მათ ერთ კითხვაზე უნდა ეპასუხათ: „რომელი უცხოელი ფეხბურთელი გსურთ იხილოთ იტალიურ კლუბებში?"

აი, 5 ფეხბურთელი, რომელთა თამაშიც იტალიაში სასურველად ითვლება: იურგენ კლინსმანი („შტუტგარტი"), მისი გადაბირება სურთ „ინტერსა" და „ფიორენტინას", ურუგვაელი ენცო ფრანჩესკოლი (პარიზის „მატრა რესინგი") — იგი ძალიან აინტერესებთ რომის „ლაციოსა" და „რომას", ესპანელი მიგელ მიჩელი (მადრიდის „რეალი"), რომელსაც იწვევენ „მილანი" და „ნაპოლი". ბრაზილიელი ანდრე კრუზი (მას ეპატიჟებიან „რომა" და ბერგამოს „ატალანტა") და იუგოსლავიელი დეიან სავიჩევიჩი (მას გენუის „სამპდორია" და „ტორინო" იწვევენ).

## „ოქროს ბურთი" აფრიკისთვის

**პარიზის** ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის" სპეციალური ჯილდო „ოქროს ბურთი", რომელიც დაწესებულია აფრიკის კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელისთვის, მიეკუთვნა ზამბიელ კალუშა ბვალიას (თამაშობს ბელგიის „სერკლ ბრიუგეში").

ბვალიამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო სეულის ოლიმპიადაზე, როცა იტალიის ნაკრებთან შეხვედრაში 3 გოლი გაიტანა.

„ვერცხლის ბურთი" მიეკუთვნა ცნობილ კამერუნელ ოსტატ როჟე მილას (ამჟამად საფრანგეთის პირველი დივიზიონის „მონპელიეში" თამაშობს), „ბრინჯაოს ბურთი" — კოტდივუარელ იუსუფ ფოფანას (გამოდის „მონაკოში").

• • •

**„ბარსელონასა"** და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველები კალდერე და როხო შუა სეზონში გაიყიდნენ სევილიის „ბეტისში".

**ესპანეთში** იზრდება სამხრეთამერიკელ ფეხბურთელთა რაოდენობა. „ლოგრონიესში" მოთამაშე რუჯერის (არგენტინა) და ალსამენდის (ურუგვაი) დაემატა მექსიკელი ფრანსისკო კრუსი. „ელჩემ" ბრაზილიის „ფლუმინენსედან" გადმოიყვანა ტატო, „მალაგაში" ჩაირიცხა ურუგვაის „პენიაროლის" თავდამსხმელი მატოსასი, „სარაგოსამ" იყიდა პარაგვაის ნაკრების ნახევარმცველი ჩილავერტი, „ოვიედომ" — დე ლა ტორე (მექსიკა).

**„რივერ პლეიტის"** (არგენტინა) მწვრთნელმა სესარ მენოტიმ კიდევ ორი ახალი მოთამაშე მიიწვია: ნაკრების თავდამსხმელი რინალდი („ბოკა ხუნიორსი") და ნახევარმცველი ხულიო ზამორა (მადრიდის „ატლეტიკო").

**თურქეთის** ჩემპიონ „გალათასარაის" შვეიცარიის „ქსამაქსთან" ევროპის ჩემპიონთა თასის მატჩში მაყურებელთა უდისციპლინობის გამო აეკრძალა შემდეგი თამაშის საკუთარ მინდორზე გამართვა. ახლახან გახდა ცნობილი, რომ 15 მარტს საფრანგეთის „მონაკოსთან" დანიშნული შეხვედრა ჩატარდება კიოლნში (გფრ).

ბელგიის 1988 წლის საუკეთესო ფეხბურთელად ჟურნალისტებმა მიიჩნიეს „მეჰელენისა" და ეროვნული ნაკრების მცველი ლეო კლისტერსი.

**(საქ. ინფ.).**

# არმიელთა საერთაშორისო ტურნირზე

**მოსკოვში,** ცსკა-ს დახურულ სპორტკომპლექსში, დაიწყო მეგობრული არმიების საფეხბურთო კლუბების საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ცსკა, დონის როსტოვის, ოდესის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის არმიელთა გუნდები.

ცსკა-ს მწვრთნელად ამჟამად მუშაობს პ. სადირინი, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე ლენინგრადის „ზენიტს" ედგა სათავეში. ცსკ-მ პირველ მატჩში ანგარიშით 2:0 დაამარცხა ბულგარეთის არმიის გუნდი. „დუკლასა" (ჩეხოსლოვაკია) და „ზავიშას" (პოლონეთი) შეხვედრა „დუკლას" გამარჯვებით დამთავრდა — 1:0.

# ევროპაში საუკეთესო

1981 წლიდან იტალიური „გაძეტა დელო სპორტის" თაოსნობით ვლინდება ევროპის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. წლის განმავლობაში ამა თუ იმ კოლექტივის მიერ მოგროვილი ქულები (ითვლება როგორც ოფიციალური, ისე ამხანაგური მატჩები) იყოფა ჩატარებულ შეხვედრათა რაოდენობაზე. მიღებული კოეფიციენტის მიხედვით ვლინდება უძლიერესი. თანაბარი კოეფიციენტის შემთხვევაში ყურადღება ექცევა ბურთების შეფარდებას. 1988 წლის სეზონში ერთბაშად სამმა ქვეყანამ (შვეცია, იტალია, გფრ) მოაგროვა 16-16 ქულა. თანაბარი აღმოჩნდა ჩატარებულ თამაშთა რაოდენობაც — 11. ბურთების უკეთესი სხვაობით ევროპის საუკეთესო ნაკრებად აღიარეს შვეცია.

| | მ. | ფ. | წ. | ქ. | კოეფ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეცია | 6 | 4 | 1 | 16 | 1,45 | 19-8 |
| 2. იტალია | 7 | 2 | 2 | 16 | 1,45 | 17-7 |
| 3. გფრ | 6 | 4 | 1 | 16 | 1,45 | 15-5 |
| 11. სსრკ | 8 | 4 | 4 | 20 | 1,25 | 23-16 |

წინა წლებში გამარჯვებულნი იყვნენ: 1981 — იუგოსლავია, 1982 — ინგლისი, 1983 — დანია, 1984 — საფრანგეთი, 1985 — სსრ კავშირი, 1986 — ესპანეთი, 1987 — ირლანდია.

**(საქ. ინფ.).**

# ძველი მეტოქეები

**იტალიის** შარშანდელი ჩემპიონი ფეხბურთში „მილანი", ეტყობა, ვერ შეინარჩუნებს ჩემპიონის წოდებას. ახლა პირველი ადგილის მთავარი პრეტენდენტი ამ ქალაქის მეორე, არანაკლებ პოპულარული კლუბი „ინტერი" გახლავთ.

როცა ეს ორი გუნდი ერთმანეთს ხვდება, მილანის მოსახლეობა ერთმანეთთან მკვეთრად დაპირისპირებულ ორ ნაწილად იყოფა. სადღეისოდ „მილანს" თავის მთავარ მეტოქეზე მოპოვებული აქვს 79 გამარჯვება, 56 შეხვედრა ფრედ დამთავრდა, 71-ჯერ კი „ინტერმა" გაიმარჯვა. ბურთების შეფარდება „მილანის" სასარგებლოდაა 327:317. ამ გუნდების მატჩებში ყველაზე მეტჯერ ჯანი რივერა („მილანი") მონაწილეობდა (34), ყველაზე მეტი გოლი ჯუზეპე მეაცამ გაიტანა — 13 (1 — „მილანის" შემადგენლობაში, 12 — „ინტერში"). ყველაზე კურიოზული შედეგებია — 6:5 „ინტერის" სასარგებლოდ (1949 წელს) და 8:1 „მილანის" სასარგებლოდ (1918 წელს).



# თითო მოგება და წაგება

**უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატში ბევრი გამოტოვებული მატჩია და გუნდები, ახლა, დაკარგულს ინაზღაურებენ.**

**რიგა.** პირველი მატჩი თბილისის დინამოელებმა ვეფ-თან, როგორც ვიუწყებოდით, წააგეს. განმეორებითი შეხვედრა, განსაკუთრებით კი მისი მეორე ტაიმი, სტუმრებმა კარგად ჩაატარეს და გამარჯვებასაც მიაღწიეს — 98:95 (47:58).

„დინამომ" გათამაშების ცხრილში მეშვიდე გამარჯვება ჩაიწერა, რაც დღეისათვის მხოლოდ მეათე ადგილს შეეფარდება, მაგრამ დაკარგული ქულების მიხედვით თბილისელებს ვეფ-თან, ლენინგრადის „სპარტაკთან", დონეცკის „შახტიორთან" და „კალევთან" შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვთ. ამიტომ სატურნირო ცხრილი საბოლოო სახეს მხოლოდ პირველ და მეორე წრის დამთავრების შემდეგ მიიღებს.

**კაუნასი.** დღემდე არსებული მდგომარეობით ადგილობრივი „ჟალგირისი" მხოლოდ მეთერთმეტე ადგილზეა, მაგრამ ეს იმიტომ, რომ გუნდს ყველაზე ცოტა (12) შეხვედრა აქვს ჩატარებული. თორემ ლიტველებმა ჯერჯერობით მხოლოდ ქულა დაკარგეს და, ამდენად, პოტენციურ ლიდერთა ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ.

ამ დღეებში „ჟალგირისმა" ალმა-ათის არმიელთა კოლექტივს უმასპინძლა და ორივე შეხვედრა მოიგო — 110:99 (52:54) და 111:91 (53:48).

**კიევი.** ჩემპიონატის მეორე პოტენციური ლიდერი ადგილობრივი „სტროიტელი" გახლავთ. უკრაინელ კალათბურთელებსაც მხოლოდ ქულა აქვთ დაკარგული და ამიტომაც, ცხადია, ყოველ მატჩს დიდი პასუხისმგებლობით ატარებენ. აი, ლენინგრადის „სპარტაკსაც" „სტროიტელმა" ადვილად და დამაჯერებლად მოუგო — 109:72 (52:38) და 97:76 (54:40).

**მოსკოვი.** ადგილობრივმა „დინამოსა" და მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებმა ქულები თანაბრად გაიყვეს. ერთი შეხვედრა მოიგო „დინამომ" — 96:72 (57:35), მეორე რტი-მ — 96:95 (50:42).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 იანვრისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ასკ (ალმა-ათა) | 22 | 15 | 7 | 37 |
| „დინ." (მოსკ.) | 22 | 12 | 10 | 34 |
| ცსკა | 17 | 15 | 2 | 32 |
| „კალევი" (ტალ.) | 20 | 8 | 12 | 28 |
| „სპარტ." (ლენ.) | 22 | 6 | 16 | 28 |
| „სტროიტ". (კიევი) | 14 | 13 | 1 | 27 |
| ვეფ (რიგა) | 23 | 4 | 19 | 27 |
| რტი (მინსკი) | 18 | 8 | 10 | 26 |
| „შახტ." (დონ.) | 20 | 6 | 14 | 26 |
| „დინ." (თბ.) | 18 | 7 | 11 | 25 |
| „ჟალგ." (კაუნ.) | 12 | 11 | 1 | 23 |
| „სტატ." (ვილნ.) | 14 | 6 | 8 | 20 |

# ინტერვიუ ბობი უოლშთან

**28 იანვარს** სიეტლში (აშშ) იწყება მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩი ჭადრაკში მსოფლიოს ექსჩემპიონ ანატოლი კარპოვსა და ისლანდიელ დიდოსტატ იოჰან ჰიარტარსონს შორის. მეტოქეები 6 პარტიაში შეხვდებიან ერთმანეთს.

სიეტლის მატჩთან დაკავშირებით ჟურნალმა „ინსაიდ ჩესმა" (აშშ) გამოაქვეყნა ინტერვიუ კეთილი ნების თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტ ბობი უოლშთან. გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს ამ ინტერვიუდან.

● **რა გიზიდავთ ჭადრაკში? მისი პოპულარობა მთელ მსოფლიოში, თუ ის გარემოება, რომ იგი თქვენთვის სპორტის ახალი, უცნობი სახეობაა?**

— რა მოგახსენოთ. ის კი ფაქტია, რომ მე ჭადრაკით დავინტერესდი. ბევრ დროს ვატარებ საბჭოთა კავშირში... მიმაჩნია, რომ ჭადრაკმა ჩვენს ქვეყანაშიც უნდა მოიპოვოს პოპულარობა. ეს გახლავთ ძირითადი მიზეზი იმისა, რომ სიეტლში კარპოვისა და ჰიარტარსონის მატჩს ვატარებთ. იმედი გვაქვს, რომ ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ჭადრაკის პოზიციების განმტკიცებას ამერიკაში და მთელ მსოფლიოშიც.

● **მაინც რითი გხიბლავთ ჭადრაკი?**

— ვფიქრობ იმით, რომ იგი ესოდენ პოპულარულია საბჭოთა კავშირში. შემდეგ მე შევიტყვე, რომ ჩვენს ქვეყანაშიც ყოფილან ჩინებული მოჭადრაკეები.

● **მართალია თუ არა, რომ ძალიან გაგიჭირდათ კარპოვ-ჰიარტარსონის მატჩის ჩასატარებელი თანხის მოგროვება?**

— დიახ, გვქონდა ასეთი პრობლემა.

● **ბევრი გაზეთი გააშუქებს პრეტენდენტთა მატჩს, ისინი ყოველდღიურად რამეს დაწერენ ჭადრაკზე?**

— დიახ, რეკლამა კარპოვ-ჰიარტარსონის მატჩის ჩატარებისას ძალიან შეგვიწყობს ხელს. ავიღოთ ისლანდია. მოწმეთა სიტყვებით, მას შემდეგ, რაც ჰიარტარსონმა მატჩი მოუგო კორჩნოის, ქუჩებში იმდენი მთვრალი გულშემატკივარი დააკავეს, რომ ყველა საპოლიციო უბანი გაივსო. სახელი „იოჰანი" ისლანდიაში ყველაზე უფრო პოპულარული გახდა. ისლანდიის მთელი მოსახლეობის ნახევარი ჩამოვა სიეტლში, რათა მატჩს ადევნოს თვალყური.

● **როგორია თქვენი დამოკიდებულება ფიშერისადმი? სად არის იგი ამჟამად?**

— პასადენაშია. მე შევიტყვე, რომ იგი თანახმაა კვლავ დაიწყოს თამაში, თუკი 5 მილიონ დოლარს გადაუხდიან. მინდა დავიჯერო, რომ ეს სინამდვილეს შეესაბამება. მას ადრეც თავაზობდნენ ხუთ მილიონს, მაგრამ თამაშზე უარს აცხადებდა. შესაძლოა, ახლა შეცვალა ადრინდელი გადაწყვეტილება.

● **საინტერესოა, როგორი სიძლიერით თამაშობს ამჟამად ფიშერი?**

— არა მგონია, რომ თამაშის განახლების შემთხვევაში ისეთივე წარმატებებს მიაღწიოს, როგორც ადრე. ჯონ მაკინროუ მხოლოდ ცხრა თვით გამოეთხოვა ჩოგბურთს და ახლა უძნელეს ბრძოლებს ატარებს, რათა უძლიერესთა ათეულში ადგილი დაიმკვიდროს. მეორეს მხრივ, ფიშერზე იმდენი ლეგენდა შეიქმნა, რომ ადამიანებს სწამთ მისი.

თუ ჩვენ კარგად ჩავატარებთ კარპოვ-ჰიარტარსონის მატჩს, მოგვეცემა კარგი შესაძლებლობა 1990 წელს მსოფლიო პირველობის მატჩის მოწყობის უფლებაც მივიღოთ.

● **ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჭადრაკი არ არის ჩართული ოლიმპიადების პროგრამაში, გახლავთ ის, რომ სპორტის ამ სახეობაში ოლიმპიადა ცალკე იმართება. როგორ ფიქრობთ, გახდება თუ არა ჭადრაკი სპორტის ოლიმპიური სახეობა?**

— ვფიქრობ, ოდესმე გახდება.

● **როგორ მოხდა, რომ მატჩი მაინცდამაინც სიეტლში ტარდება?**

— როცა უკანასკნელად მოსკოვში ვიყავი, ფიდე-ს პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა შემომთავაზა მისი მოწყობა. მე მოვითათბირე საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გავრილინს და გადავწყვიტეთ, კიდეც ეს მატჩი ჩვენთან ჩატარებულიყო.

# „ფორმულიდან"—„პროტოტიპებში"



**„პროტოტიპების"** კლასში მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატი 8 თვის განმავლობაში გრძელდებოდა. სულ 11 „გრან პრი" გათამაშდა. 6-ჯერ გამარჯვება იზეიმა „იაგუარმა", 5-ჯერ კი „მერსედესმა". თავი გამოიჩინეს ინგლისელმა მარტინ ბრანდლმა და ფრანგმა ჟან-ლუი შლესერმა. პირველმა 5 ეტაპში გაიმარჯვა, მეორემ — 4-ში.

ჩემპიონატი დაძაბულად მიმდინარეობდა და დამთავრდა „მერსედესის" გამარჯვებით, მაგრამ საერთო ჯამში მისმა პილოტმა, 39 წლის შლესერმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და პირველობა ახალგაზრდა ინგლისელ ავტომრბოლს, 29 წლის მარტინ ბრანდლს დაუთმო, რომელმაც ვადამდე ადრე გაიმარჯვა და თავის გუნდს ზედიზედ მეორედ მოუტანა წარმატება კონსტრუქტორთა პირველობაზე.

ჩემპიონატის შემაჯამებელ ცხრილში პირველი ექვსი ადგილი ასე გამოიყურება: 1. მარტინ ბრანდლი (ინგლისი, „სილკ ქათ იაგუარი"); 2. ჟან-ლუი შლესერი (საფრანგეთი, „საუბერ-მერსედესი"); 3. მაურო ბალდი (იტალია, „საუბერ-მერსედესი"); 4. ედი ჩივერი (აშშ, „სილკ ქათ იაგუარი"); 5. იოჰენ მასი (გფრ, „საუბერ-მერსედესი"); 6. კლაუს ლუდვიგი (გფრ, „პორშე 962").

ახლა, ცოტა რამ თვით ჩემპიონზე.

მარტინ ბრანდლი დაიბადა 1959 წლის 1 ივნისს ინგლისის ქალაქ კინგ ლინში. იგი 1983 წლის ვიცე-ჩემპიონია „ფორმულა 3" კლასში. 1984 წლიდან 1987 წლამდე „ფორმულა 1" კლასის ავტომობილით ასპარეზობდა და „ტაირელრენოს" ღირსებას იცავდა. ამ ხნის მანძილზე მის მიერ მოპოვებული საუკეთესო შედეგია მეთერთმეტე ადგილი 1986 წლის ჩემპიონატში. სულ დღემდე, მოპოვებული აქვს 12 ქულა. ამავე წლის ბოლოს მარტინ ბრანდლმა განაცხადა, რომ ტოვებს „ფორმულა1"-ს. სწორედ მაშინ მიიწვია ინგლისელი პილოტი თავის გუნდში „იაგუარის" მენეჯერმა ტომ უოკინშოუმ და არც შემცდარა. ბრანდლმა პირველივე წელს მოიპოვა ჩემპიონის ტიტული, თუმცა ადრე მაინც მიიღო მონაწილეობა „ფორმულა1" კლასის ჩემპიონატის ერთ ეტაპში. ბელგიაში „სპა"-ს ტრასაზე მან ნაიჯელ მენსელი შეცვალა და პირად ჩათვლაში მეცხრე ადგილი დაიკავა. ფრენკ უილიამსმა ბრანდლს შესთავაზა მომდევნო ეტაპშიც გამოსულიყო, მაგრამ მან უარი განაცხადა და იტალიაში, „მონცას" ტრასაზე მენსელი ჟან-ლუი შლესერმა შეცვალა. ასე ჩაიშალა მარტინ ბრანდლის დაბრუნება „ფორმულა1" კლასის ჩემპიონატში, როგორც ეს დაგეგმილი ჰქონდა „უილიამსს" წლევანდელი ასპარეზობისათვის.

**დავით ჩუბინიძე.**

# „ჯიუტი" ფრანგები

რეგბი

**შაბათს** გაიმართა მოყვარულ რეგბისტთა რიგით 60-ე „ხუთი ერის პირველობის" პირველი შეხვედრები.

ედინბურგის გარეუბან მერიფილდში შოტლანდიელები უელსის ნაკრებს მასპინძლობდნენ. სტუმრებმა (ისინი წამყვანი მოთამაშეების პროფესიულ რეგბიში გადასვლამ საკმაოდ დააზარალა) შესვენებამდე ვერაფერი მოუხერხეს ვერც შოტლანდიელთა მესამე ხაზის მორკინალებს, ვერც ნახევარმცველთა ახალ წყვილს (№10 ჩალმერსი, №9 არმსტრონგი) და ტაიმი ანგარიშით 0:19 წააგეს. მართალია, თამაშის მეორე ნახევარი უკვე უელსელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ისინი იმდენად უსისტემოდ უტევდნენ, რომ ანგარიშში სხვაობის შემცირების მეტი ვერაფერი მოახერხეს. მეტიც, მატჩის მიწურულს მასპინძლებმა კიდევ ერთხელ მიაღწიეს მიზანს და გაიმარჯვეს — 23:7. გამარჯვებულთაგან თითო ლელო გაიტანეს არმსტრონგმა, ვაითმა და ჩალმერსმა, ჩალმერსმა შეაგდო არეკნიც, დაშავებული გევინ ჰესტინგსის ნაცვლად გუნდში დაბრუნებულმა ვეტერანმა მცველმა დოდსმა კი გადალახა ერთი ლელო და ორი საჯარიმოც გაიტანა.

დუბლინის „ლენსდაუნ როუდზე" ირლანდიისა და საფრანგეთის ნაკრებთა მატჩი უაღრესად დრამატულად წარიმართა. შეხვედრის პირველ 50 წუთში ირლანდიელები უტევდნენ, ფრანგები კი ხშირად ჯარიმდებოდნენ და მასპინძელთა შუამარბი ქირნანიც უშეცდომოდ ურტყამდა. ირლანდიელები, რომლებმაც ამ სეზონისათვის საგრძნობლად გადაახალისეს შემადგენლობა, ერთთავად წინ იყვნენ: ჯერ 15:0, შემდეგ 18:4, მეორე ტაიმის დასაწყისში კი — 21:7. მაგრამ, როცა ფრანგების უკანა ხაზის ლიდერები — ბერბიზიე, სელა და ბლანკო უფრო თამამად ათამაშდნენ, მათ მთელი გუნდი აჰყვა; სტუმრებმა მოედნის ნებისმიერი წერტილიდან იწყეს ბურთის ხელით გათამაშება და მატჩის მსვლელობაში გარდატეხაც შეიტანეს: ჯერ ლაფისკესა და ბლანკოს მიერ გატანილი ლელოების წყალობით ანგარიშში სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა, ხოლო, როცა თამაშის დამთავრებას 6 წუთი აკლდა, მარცხენა გარემარბმა ლაფისკემ გადამწყვეტი ლელო გაიტანა და ფრანგებმა გაიმარჯვეს — 26:21 (7:18). გამარჯვებულებს ყველაზე მეტი ქულა — 14 (ლელო, 2 გარდასახვა, 2 საჯარიმო) შესძინა მარჯვენა გარემარბმა ლაფონმა, მცველმა სერჟ ბლანკომ კი ოთხივე ლელოში დაიდო წილი.

მეორე ტურში, რომელიც ორი კვირის შემდეგ, 4 თებერვალს გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისისა და შოტლანდიის, უელსისა და ირლანდიის გუნდები.

ჭადრაკი

## დაწინაურდა კანადელი დიდოსტატი

**კვებეკი.** კანადის ამ ქალაქში მიმდინარეობს მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩი ჭადრაკში არტურ იუსუპოვსა და კევინ სპრაგეტს (კანადა) შორის.

ორი პარტიის შემდეგ ანგარიშია 1,5:0,5 კანადელი დიდოსტატის სასარგებლოდ.

## მ. ტალის გამარჯვებით

**როგორც** ცნობილია, ყოველი წლის ბოლოს უძლიერესი ჰოლანდიელი დიდოსტატი იან ტიმანი ქალაქ ჰილვერსუმში ამხანაგურ მატჩში (6 პარტიისაგან) ხვდება რომელიმე გამოჩენილ მოჭადრაკეს. ამჯერად მისი მეტოქე მსოფლიოს ექსჩემპიონი მიხეილ ტალი იყო. საინტერესოა, რომ ორი წლის წინათ ამავე მეტოქეებმა ასეთივე მატჩი ითამაშეს, ოღონდ პრეტენდენტთა ასპარეზობაში გამოსვლის უფლებისათვის. მაშინ ორთაბრძოლა ყაიმით (3:3) დამთავრდა, მაგრამ უკეთესი დამატებითი მონაცემების გამო პრეტენდენტი ჰოლანდიელი გახდა.

ახლანდელი მატჩი დრამატულად წარიმართა. უკვე პირველივე პარტია შავებით მოთამაშე ტიმანმა მოიგო, მომდევნო ორი კი ყაიმით დამთავრდა. მეოთხეში, ტალმა გაათანაბრა ანგარიში, მოიგო მეხუთეც და მეექვსე შეხვედრის ყაიმით დამთავრების შემდეგ გაიმარჯვა მატჩში ანგარიშით 3,5:2,5.

გთავაზობთ მეოთხე პარტიას:

**ი. ტიმანი — მ. ტალი**

**სიცილიური დაცვა**

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 e6 6. f4 a6 7. ლf3 ლb6 8. მb3 ლc7 9. g4 b5 10. g5 b4 11. მb5 ab 12. gf gf 13. მd4 კd7 14. f5. მc6 15. მ:b5 ლa5 16. fe fe 17. კd2 მe5 18. ლe2 ეc8 19. მd4 მc4 20. მb3 ლe5 21. კ:b4 მ:b2 22. c3 მa4 23. c4 ეb8 24. a3 კc6 25. ეg1 მc5 26. ეb1 კ:e4 27. მd2 კ:b1 28. ლ:e5 de 29. მ:b1 მa6.

თეთრები დანებდნენ.

## მძლეოსანთა მსოფლიო რეკორდები

**ლოს-ანჯელესი.** ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში სეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ამერიკელმა რენდი ბარნსმა ბირთვი 22 მეტრსა და 66 სანტიმეტრზე ჰკრა. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია დახურული დარბაზებისთვის. ძველი მიღწევა შვეიცარიელ ვერნერ გიუნტერისა 40 სანტიმეტრით გაუმჯობესდა.

**ოტავა.** ახალი რეკორდი დაამყარა (დახურულ შენობაში) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ქალთა შორის 1500 მეტრზე რბენაში რუმინელმა პაულა ივანმაც. ამჯერად მან დისტანცია 4.06,99-ში გაირბინა. ეს შედეგი 3 წამით უკეთესია მისივე თანამემამულის დოინა მელინცას ძველ მიღწევაზე.

# ევროპის საკალათბურთო მოედნებზე

## იტალია

**მეთხუთმეტე** ტურის შეხვედრებიდან ყურადღებას იპყრობდა ქვეყნის ჩემპიონის „სკავოლინის" და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელის „ფილიპსის" მატჩი მილანში. გამოცდილმა მასპინძლებმა ეს პრინციპული შეხვედრა ძლიერად ჩაატარეს და გაიმარჯვეს — 108:98.

დიდ ინტერესს იწვევდა აგრეთვე ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლის „ალიბერტის" და „სნაიდეროს" შეხვედრა. 108:102 გაიმარჯვა „ალიბერტიმ". ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა „ვივამ" საკუთარ მოედანზე კანტუში სძლია „ალნოს" — 96:82. წინა ტურის მატჩებიდან ყურადღებას იპყრობს მილანის „ფილიპსის" მოულოდნელი დამარცხება ვენეციაში — 79:89, რასაც მიმომხილველები ოლიმპიური ჩემპიონის იუგოსლავიელი რატკო რადოვანოვიჩის (26 ქულა) კარგ თამაშს უკავშირებენ.

## ესპანეთი

**მეთოთხმეტე** ტურში დიდ ინტერესს იწვევდა მატჩი მადრიდში „რეალსა" და „კაი ბილბაოს" შორის. გაიმარჯვა „რეალმა" — 107:83. გამარჯვება მოიპოვეს ლიდერთა ჯგუფის სხვა წარმომადგენლებმაც: „კაი სარაგოსა" — „ესტუდიანტესი" — 105:76, „ჰუვენტუდ ბადალონა" — „პოლევა" — 105:81.

მეთოთხმეტე გამარჯვება მოიპოვა ჩემპიონატის ლიდერმა „ბარსელონამ". მან გასვლით მატჩში დიდი ანგარიშით 94:77 დაამარცხა „ესტუდიანტესი". წინა ტურის მატჩებიდან, რა თქმა უნდა, აღნიშვნის ღირსია მადრიდის „რეალის" გამარჯვება ესპანეთის ჩემპიონთან „ბარსელონასთან" — 81:67.

თხუთმეტი ტურის შემდეგ ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს „ბარსელონა" (29 ქულა). მას კვალში მიჰყვება მადრიდის „რეალი" და „ჰუვენტუდ ბადალონა" (26-26), „კაი სარაგოსას" 25 ქულა აქვს.

## იუგოსლავია

**ჩემპიონატში** სულ რვა ტურია ნათამაშები. ლიდერობისათვის უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარეობს. სატურნირო ცხრილს სათავეში სამი გუნდი უდგას — ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი „იუგოპლასტიკა" (6 გამარჯვება), „ცრვენა ზვეზდა" (6) და „ბოსნა" (6).

მერვე ტურში „იუგოპლასტიკამ" საკუთარ მოედანზე წააგო „ზადართან" 70:71. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო „ცრვენა ზვეზდას" დამარცხება საკუთარ მოედანზე ბელგრადში „ვოივოდინასთან" — 96:101.

**მერაბ კალანდაძე.**

რედაქტორი **თ. ბაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05709